დანართი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტზე 2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა
სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი

1. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მიზანია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებში განათლების როლის ზრდისა და სამეცნიერო საქმიანობაში მათი ჩართვის ხელშეწყობა.
2. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უწევს იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური.
3. ფაკულტეტის დეკანი, იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურთან ერთად, იურიდიული ფაკულტეტის როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალისგან, ქმნის საკონფერენციო ჟიურის შემადგენლობას და უზრუნველყოფს კონფერენციის ჩატარებას სექციების მიხედვით.
4. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ნებისმიერი სემესტრის სტუდენტებს.
5. სტუდენტთ სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდება ორ ეტაპად:
- ნაშრომთა შეფასება და საუკეთესო ნაშრომების გამოვლენა მოხდება შესაბამისი მიმართულების პროფესორების მიერ, შემდეგ ეტაპზე გადასვლის მიზნით;
- შერჩეულ მონაწილეთა ონლაინკონფერენცია.
6. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თემატიკა განისაზღვრება მიმართულებების მიხედვით და მონაწილეობის მსურველებს, შესაბამისი სექციის ფარგლებში, შეუძლიათ მათთვის სასურველი თემის შერჩევა.
7. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში, იმუშავებს შემდეგი სექციები: ა) კერძო სამართლის მიმართულება; ბ) სისხლის სამართლის მიმართულება; გ) საჯარო სამართლის მიმართულება (ქვესექციები: კონსტიტუციური სამართალი; ადმინისტრაციული სამართალი); დ) საერთაშორისო სამართლის მიმართულება; ე) სამართლის ისტორიის მიმართულება და ვ) სამართლის მეთოდების მიმართულება.
8. საკონფერენციო ნაშრომის მომზადება და წარმოდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ ინდივიდუალურად და თითოეულ სტუდენტს მონაწილეობის მიღება შეუძლია ორ სხვადასხვა სექციაში თითო მოხსენებით.
9. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე დარეგისტრირებისათვის განსაზღვრულია შემდეგი დოკუმენტები: ა) კონფერენციაში მონაწილეობის

მსურველი სტუდენტის განაცხადი/პირად მონაცემთა ფორმა (იხ. ფორმა №1); ბ) მიზანშეწონილობის წერილი (თანხმობა) (იხ. ფორმა №2), რომლის გაცემა შეეძლება იურიდიული ფაკულტეტის როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირს. მას შემდეგ, რაც სტუდენტი, სასურველი თემატიკის შერჩევასა და საკონფერენციო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებით, მასთან გაივლის კონსულტაციას; გ) საკონფერენციო ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ საორიენტაციო მოცულობასა და მის მიმართ წაყენებულ აკადემიურ და ტექნიკურ მოთხოვნებს (იხ. აკადემიური და ტექნიკური მოთხოვნები).

10. საკონფერენციო ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული სახით, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე lawconference@tsu.ge და მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის თაბახის 10-15 გვერდს.

11. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე დარეგისტრირებისათვის განსაზღვრული დოკუმენტებისა და ნაშრომის მიღება ელექტრონულად იწარმოებს 2021 წ. 17 მაისიდან 17 ივნისის ჩათვლით.

12. წარმოდგენილი ნაშრომები მიმართულებების მიხედვით გადაეცემა იურიდიული ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორებს შესაფასებლად.

13. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების თარიღი, დღის წესრიგი და შესაბამისი ინსტრუქცია მონაწილეებს ეცნობებათ წინასწარ, ელფოსტის მეშვეობით.

14. კონფერენციაზე მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ 10-წუთიანი მოხსენებები, (შესაძლებელი იქნება Power Point-ის გამოყენება). დისკუსიისათვის განსაზღვრულია 5 წუთი.

15. საკონფერენციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) თემის აქტუალობის წარმოჩენა და მიღებული შედეგების დასაბუთება;

ბ) თავისუფალი აზროვნება და დასკვნების გაკეთების უნარი;

გ) ნაშრომის აკადემიური და ტექნიკური შეფასება (მათ შორის, დაცულია, თუ არა სტრუქტურის ლოგიკური ხაზი და ციტირება).

16. ციტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი სტანდარტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი ჩაითვლება პლაგიატად და მოიხსნება კონფერენციიდან:

პლაგიატად ჩაითვლება ნაშრომი, რომელშიც:

ა. ციტირებულია სხვა ავტორის აზრი (გადაწერილია ფრაზები, აბზაცი ან აბზაცის ნაწილი) და არ არის გამოყენებული ე.წ. ბრჭყალები ავტორის/წყაროს მითითებით ან ტექსტი არ გამოიყოფასხვა საშუალებით (მუქი შრიფტი, დახრილი შრიფტი...).

ბ. გაკეთებულია პერიფრაზი (წყაროდან ამონარიდი ტექსტის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა), რომელშიც ორიგინალური ტექსტის ფრაზები ოდნავ არის შეცვლილი და წარმოდგენილია, როგორც საკუთარი.

დ. გამოყენებულია კვლევის შედეგები, მათ შორის, საკუთარი (სტატია, პროექტი, წიგნი), რომელსაც არ აქვს მითითებული წყარო.

ე. კოპირებული და გამოყენებულია სხვადასხვა ვებგვერდის/პორტალის მასალა (კვლევის შედეგები, ცხრილები, გრაფიკები და ა.შ.) წყაროს მითითების გარეშე, ამასთან, დაფიქსირებული უნდა იყოს ვებგვერდზე შესვლის დრო და საათი.

17. ზეპირი პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) პრეზენტაციის ეფექტურობა

ბ) დისკუსიის წარმოების უნარი.

18. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თითოეული (ქვე)სექციისათვის სპეციალურად დაკომპლექტებული ჟიური, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, გამოავლენს სამ გამარჯვებულს (I, II და III ადგილი).

19. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის შედეგები მონაწილეებს ეცნობებათ კონფერენციის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღეში, იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

20. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გამოვლენილ გამარჯვებულებს ფაკულტეტისგან გადაეცემათ სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები, ხოლო, დანარჩენი მომხსენებლები შეძლებენ მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობების მიღებას.

ფორმა №1

განაცხადი (სტუდენტის პირადი მონაცემების ფორმა)

სახელი, გვარი:

თემის სათაური:

(ქვე)სექციის დასახელება:

საგანმანათლებლო პროგრამა:

სასწავლო სემესტრი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ელფოსტის მისამართი:

ხელმძღვანელის/რეკომენდატორის სახელი და გვარი, სამეცნიერო ხარისხი:

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში:

ფორმა №2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურს

(მიუთითეთ აკადემიური თანამდებობა/სტატუსი, სახელი/გვარი)

მიზანშეწონილობის წერილი (თანხმობა)

ეძლევა ---------- საგანმანათლებლო პროგრამის ---------- სემესტრის სტუდენტს ----------, იმის დასტურად, რომ შერჩეული თემა: ----------
---
-------- აქტუალურია და შესაძლებელია მასზე საკონფერენციო ნაშრომის მომზადება.

/ხელმოწერა/

/თარიღი/

საკონფერენციო ნაშრომისადმი წაყენებული აკადემიური და ტექნიკური მოთხოვნები

ნაშრომი უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). ტექსტი უნდა იყოს შესრულებული Microsoft Word-ის დოკუმენტში, Sylfaen-ის ფონტით. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა – 12. სქოლიოების ტექსტის შრიფტის ზომა – 10. სტრიქონებს შორის დაშორება – ერთი ინტერვალი.

სქოლიოები უნდა იყოს განთავსებული თითოეული გვერდის ბოლოს.

წყაროები უნდა იყოს ციტირებული შემდეგნაირად:

ა) წიგნი: ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, ნაშრომის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, მითითებული გვერდი (მაგ., ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010 წელი, გვ. 15.);

ბ) საჟურნალო სტატია: ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება იტალიკით, ჟურნალის დასახელება, გამოცემის ნომერი, გამოცემის წელი, მითითებული გვერდი (მაგ., ქ. პოლმანი, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კვლევების ზოგიერთი პერსპექტივა, ქართული სამართლი მიმოხილვა, I, 2001 წელი, გვ. 83.);

წიგნზე, ჟურნალსა და სტატიაზე მითითება ხდება დედნის ენაზე. უცხოენოვანი წიგნის დასახელება არ ითარგმნება ქართულ ენაზე.

გ) საერთაშორისო სასამართლოების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: მიეთითება საქმის სახელი ქართულ და ორიგინალურ ენაზე იტალიკით, გადაწყვეტილების მიღების თარიღი და პუნქტი. მაგ., ბრონდა იტალიის წინააღმდეგ (Bronda v. Italy), 1998